საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2414 2015 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №1618 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №1618 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, 2015 წლის 13-14 ივნისს ქალაქ თბილისში ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებისა და საექსპერტო მომსახურებისათვის საჭიროა დამატებით 20 047 000 (ოცი მილიონ ორმოცდაშვიდი ათასი) ლარის გამოყოფა, დანართის შესაბამისად;“.

2. **განკარგულების მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა, არა უმეტეს 20 047 000 (ოცი მილიონ ორმოცდაშვიდი ათასი) ლარისა, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოძიებული რესურსის გათვალისწინებით.“.

3. **განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

N	ობიექტის დასახელება	ღირებულება
1	არსებული გზის გამორეცხილი ფუძის აღდგენა	701,300
2	არსებული გზის მიწის ვაკისის წარბას აღდგენა	
3	დაზიანებული და დანგრეული ტროტუარების რეაბილიტაცია	
4	დაზიანებული გზის მონაკვეთების აღდგენა	
5	დაზიანებული და დანგრეული თვალამრიდების აღდგენა	
6	მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ხიდის მოწყობა	8,618,100
7	არსებული გვირაბების დანგრეული და დაზიანებული სათავისების რეაბილიტაცია	4,090,770
8	არსებული გვირაბების რეაბილიტაცია	
9	პანდუსებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა	839,830
10	ოთხი საყრდენი კედლის მშენებლობა თბილისი წყნეთის საავტომობილო გზის კმ 2-კმ4	650,000
11	გმირთა მოედნისა და მისი მიმდებარე მარჯვენა სანაპიროს ნაწილის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)	1,630,000
12	წყნეთში მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა	508,000
13	კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზის 6 კმ. მდე მონაკვეთის კაპიტალური სამუშაოები	3,009,000
	სულ ჯამი	**20,047,000**